საქართ. შემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ ხარეკოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღია ყოველ დილის 8—2 ს. რედაქტორის ნავა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 375

ხუთშაბათი, დეკემბრის 21 1922 წ.

ცალკე ფასი 500ს მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

მწუხარებაში მყოფნი დედა პრასკილა, მამა მიხეილ, დები ვალენტინა, ვერა გალინა, თამარა შუშანა, ძმები შალიკო და კუკური, ბიძაშვილი კოლია, სიძე დომენტი კვირკელია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობს სახ. უნივერსიტეტის სტუდენტის

გაიანა სუპატაშვილის

გამოსვენება მოხდება 21 დეკემბერს. დღით ხუთშაბათის ნაშუადღევის 3 საათზე. მატინოვის ქუჩიდან სახლი № 12. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. (ვერა). 1—1

ივანე და მარიამ ამაღლობელნი, შვილები სიმონ, კოლია, აკაკი, სერგო, ნინა და ვერა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი სახ. უნივერსიტეტის სტუდენტის

გაიანა სუპატაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 1—1

ოთხშაბათს, 23 დეკემბერს საღამოს 6 საათზე ალმასკომის ბინაზე დანიშნულია ქალაქის ალმასკომის მორიგი სხდომა.

ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

225 3—1 მდივანი ხუნდაძე.

დავალიანების საკითხი

დავალიანების საკითხი ევროპის ქვეყნებისათვის ხეტად მწვავე საკითხია. ომმა, რომელმაც საოცარ სიმაღლემდე აიყვანა ბიუჯეტების მილიტარიზაცია ნიადაგი მოუმზადა არა მარტო შებრძოლ სახელმწიფოთა დავალიანებას, არამედ იმ სახელმწიფოთა დავალიანებასაც რომლებიც განიცდიდენ ომის მიერ გამოწვეული შედეგების სიმწვავეს.

უმთავრესად ევროპის კონტინენტის დიდი და მცირე სახელმწიფონი, დავალიანდა ამერიკის გიგანტური მრეწველობის განვითარებით, რომელიც ომის პროცესშია საზრდოებდა შებრძოლ სახელმწიფოებს.

ჩვენ არ შეუდგებით ამერიკის ეკონომიური აღორძინების მიმოხილვას, ამ მხრივ ჩვენი მკითხველები უკვე საკმაოდ გაცნობილი იქნება მთელ რიგ ფელეტონებსა და მოხსენებებს, რომელსაც ადგილს უთმობდით ამერიკის პოლიტიკურსა და განსაკუთრებით ეკონომიურს ჰეგემონობის შესახებ, რადგან ობიექტიურად შეუძლებელია დღეს რაიმე რეალური პოლიტიკის შეგნება გარეშე ამერიკის მბრძოლველობაში მფლობელობისა, რომელიც დღეს ფაქტიური ჰეგემონია საერთაშორისო პოლიტიკის.

ამ შემთხვევაში საკმაოა აღნიშნულ იქნეს, როგორც ფიგურალური მოვლენა რომ ინგლისის მთელი შემოსავალი ამერიკის შემოსავლის ერთ მესამედს უდრის. მსოფლიოს ოქროს ოთხი მეხუთედი ამერიკის ხელშია და ინგლისმა მარტო თავის ვალის პროცენტი უნდა აძლიოს წლიურად ამერიკას 500 მილ. გირ. სტერლინგი. ინგლისი იძულებული გახდა სულ გასულ წელს თავისი განძეულების ნაწილი მიეყიდა ამერიკისათვის 1.000 მილ. სტერ. ღირებული.

მარტო ინგლისი არ არის ამერიკის მიმართ ასეთ მდგომარეობაში. ევროპის სახელმწიფონი დავალიანებული არიან არა მარტო ურთიერთ შორის, არამედ ყველა ერთად დავალიანებული არის ამერიკის მიმართ.

ყოველივე ეს აღვნიშნეთ იმიტომ, რომ გუშინ ლონდონში საერეპარაციო საკითხის ირგვლივ პრემიერთა თათბირი იყო გამართული და საერეპარაციო საკითხის ირგვლივ მსჯელობდა პუანკარე, მუსოლინი, ტინესი და ბონარ ლოუ. როგორც დეპეშა გადმოგვცემს პუანკარეს პოლიტიკა გერმანეთის მიმართ ისევ შეურიგებელია და მიუხედავად თათბირის შეწყვეტისა იანვრიმდე იგი იტოვებს უფლებებს 15 იანვარს შემდეგ თავისუფალი მოქმედებისათვის. დეტალურად, რომ არ შევჩერდეთ თათბირის მუშაობისა და შედეგების შესახებ აღსანიშნავია ის მთავარი დებულება, რომ ლონდონში ევროპის უმთავრეს სახელმწიფოთა პრემიერების თათბირმა ვერაფერი შედეგს ვერ მიაღწია და იგი ამას ვერც იანვარში მიაღწევს, რადგან დავალიანების საკითხი სდგას არა მარტო ევროპის მაშტაბით, არამედ მსოფლიო მაშტაბითაც.

საკითხი ანტანტისა და გერმანეთის ურთიერთობის ამავე დროს მთავარი საკითხია ევროპის ეკონომიური ცხოვრების, ხოლო ეს უკანასკნელი საერთაშორისო, სამსოფლიო საკითხია თავის თავად.

ამერიკა, რომელიც ვითომ ნეიტრალურ პოლიტიკას იცავს და არ ერევა ევროპის პოლიტიკურ საქმეებში, დღეს ამავე ამერიკას განზრახვა აქვს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისა ვაშინგტონში, სადაც განხილულ უნდა იქნეს საკითხი გერმანეთის სესხის მიცემის შესახებ.

რეიტერის საგენტოს ცნობით პუანკარემ მიიღო ამერიკისაგან არა ოფიციალური ცნობა შესახებ იმისა, რომ იგი მიიღებს მონაწილეობას საკონტრიბუციო საკითხის მოწესრიგების პროექტის განხილვაში.

ეს ფაქტი ამერიკის გამოსვლისა საერთაშორისო პოლიტიკაში სახულისხმოა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა ფაქტიურად ყოველ კონფერენციას და ყოველი საკითხის გადაწყვეტას თავის „ვანდგომის“ ხანაშიაც უფრო მეტად სწყვეტდა, ვიდრე დავალიანებული ევროპის პრემიერთა საუბრები.

ამერიკის გარეშე, როგორც აღვნიშნეთ შეუძლებელია დავალიანების საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ საკითხი ისმება შესაძლებს თუ არა ევროპა რაიმე ნაბიჯი მონიხვას იმავე ვაშინგტონში დღეს, სადაც გუშინ „ოთხთა კავშირი“ შეიკრა და მხოლოდ ეს კავშირი ფარატინა ქაღალდზე დარჩა დაწერილი.

გუშინ ევროპის დიპლომატნი, ყურით მითრეული ვაშინგტონში გამოიქცა ამ ქალაქიდან, რადგან ვაშინგტონში მას დაუხვდა არა გიორგი ვაშინგტონის ამერიკა, რომელიც ემსახურებოდა ლოზუნგს „ამერიკა ამერიკისათვის“ არამედ მას იქ დაუხვდა გადონგის ამერიკა, რომელიც ევროპისა და აზიის ამერიკა ნიაგიაზე იცნობობს და მთელი მსოფლიო ამერიკისათვის აქვს დასახული.

ხვალაც თუ ამავე ვაშინგტონში ჩვენ ვიხილავთ საერთაშორისო კონფერენციას იმავე სურათის წინაშე დავდგებით, რადგან თანამედროვე სოციალ-ეკონომიური განვითარების პროცესი საკითხს პირდაპირ აყენებს—ან ევროპა და აზია გუშინდელი კოლონიისადმი, ამერიკისადმი, კოლონიალურ მდგომარეობაში უნდა ჩავარდეს, ან ევროპა და აზია უნდა იხსნას ამავე ქვეყნების მშრომელთა სოლიდარობამ, რომელიც შესაძლებელი ახდება კაპიტალის მაგნატობა ლიკვიდაციის შემდეგ.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვაშინგტონიდან გამოქცეულმა ევროპის დიპლომატებმა დღემდე მიუხედავად მრავალი კონფერენციებისა და თათბირებისა, ვერ გადასწყვიტეს ვერც ერთი საკითხი, რომელიც გარანტიას შექმნიდა ევროპის ეკონომიური რენესანსისათვის.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვაშინგტონში ვერ გადაწყდება ევროპის აღდგენის საკითხი, რადგან იქ იქნება ამერიკა, ხოლო იგი ჯერ ვერ გადაწყდება ვაშინგტონის გარეშე, რადგან ამერიკა იქ არ იქნება, პირველ შემთხვევაში საკითხი ვერ გადაწყდება იმიტომ, რომ ამერიკის ინტერესი რადიკალურად ეწინააღმდეგება ევროპის ინტერს, ხოლო მეორე შემთხვევაში ვერ გადაწყდება იმიტომ, რომ ამერიკის გარეშე შეუძლებელია დღეს, ფიქრი ევროპის ეკონომიური აღდგენის შესახებ. ამ ორ პოლიუს შორის სწარმოებს დღეს პოლიტიკური კომბინაციები. იშლება და კვდება მრავალი კაბინეტები, იცვლება ფორმები მოძრაობისა, მაგრამ ვიდრე ევროპა და აზია გამთელებული არ დაუპირისპირდება ვაშინგტონის ხიმშობლის კონკურენციას, მანამ იგი ვერ შესძლებს ერთი მდგომარეობიდან დაძვრას და პოლიტიკურ კრიზისებიდან თავის დახწევას.

დავალიანების საკითხის გადაწყვეტა კი შეუძლებელია მანამ სანამ ეს პროცესი თავის ლოდიკურ დასკვნამდე არ მიგვიყვანს.

ხ. ამაღლობელი

პოლონეთის ამბები

მოსკოვი. 19 დეკ. „ქალაქის და სოფლის პროლეტარიატის კავშირმა გამოაქვეყნა ფურცელი: „ბურჟუაზიულ რეაქციასთან ბრძოლისათვის, რომელშიაც მოუწოდებენ პოლონეთის პროლეტარიატს, რათა უკანასკნელი გამოვიდეს პოლონეთის ფაშისტების წინააღმდეგ გაერთიანებული ფრონტით. ფურცელს კონფისკაცია უყო მთავრობამ.

პოლონეთის კომპარტიამ აგრეთვე გამოუშვა ფურცელი „კაპიტალის შემოტევასთან ბრძოლისათვის“ რომელშია აღნიშნულია, რომ ბურჟუაზიის შემოტევის უნდა დაუპირისპირონ პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი და ვიბრძოლოთ არა კონსტიტუციისა და დემოკრატიისათვის, რომელთა დაცვისაკენ მოუწოდებენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის მომხრენენი, არამედ საკუთარ საარსებოინტერესებისათვის

— პოლონეთის კაბინეტი შედგენილია შემდეგი სახით: პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი—გენერალი სიკორსკი, შრომის მინისტრი—დაროვსკი, ვაჭრობის და მრეწველობის—სტრასბურგერი, ფინანსთა მინისტრი—იასტრუჟემსკი, გარეშე საქმეთა მინისტრი—სკრჟინსკი მიწად-მოქმედების გომბერაჩინსკი, სამხედრო და საზღვაო მინისტრი—სოსნოვსკი, გენერალური შტაბის უფროსად დანიშნულია პილსუდსკი.

— გაზეთები იტყობინებიან, რომ მემარჯვენე პარტიებმა შეიტანეს ახალი წინადადება უმრავლესობის შექმნის შესახებ. გაზეთები პრეზიდენტად ასახელებენ შემდეგ კანდიდატებს, მორაკსკის, ვოიცეხოვსკის, ვიტოსს, რატომ და იანა დემბსკის.

ლოზანას კონფერენცია

სრუტეების კომისიაში

ბორდო, 20 დეკ. სხმშაბათს, სრუტეების კომისიის სხდომაზე ლორდ კერზონმა გამოაქვეყნა მოკავშირეების საბოლოო გეგმა, რომელშიაც მტკიცედ განსაზღვრულია სრუტეების საერთაშორისო კომისიის უფლება-მოვალეობანი. გეგმით კომისიას ევალება ადმინისტრაციასთან ერთად გემების და სრუტეების თავისუფლების შესახებ ყველა დებულებათა შესრულების ზედამხედველობა და აგრეთვე სპეციალურ ზომების გატარება სრუტეების განიარაღებისათვის. ბარერმა აღნიშნა, რომ მოკავშირეთა ეგეგმის პრინციპები გულისხმობენ კომერციულ გაცვლა-გამოცვლის სრულ თავისუფლებას და არ შეიცავენ არავითარ მუქარას ომიანობის დროს, არამედ აწესებენ თანასწორობას.. (გამოტოვებულია) ბარერი აგრეთვე ამტკიცებდა, თუ რამდენად სასარგებლო იქნება ოსმალეთისავის სრუტეებში რეჟიმის ხელშეძღვანელობის გადაცემა ერთი ლიგის ხელში.

გადამწყვეტი დღე

პარიზი, 20 დეკ. ოსმალეთის დელეგაციის წევრებმა ჰავასის საგენტოს კორესპონდენტებს განუცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი არ მიიღებს დაკმაყოფილებას სრუტეების საკითხის შესახებ დღევანდელ დღის 16 საათამდე, ოსმალეთი შეწყვეტს მოლაპარაკებას.

საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ დღევანდელ დღეს გარდამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. გაზეთები გამოსთქვამენ იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს ოსმალეთი დარწმუნდება მოკავშირეთა კეთილ განზრახვაში და ამით შესაძლებელი იქნება განხეთქილების თავიდან აშორება. გაზეთი „ეკოლეტერ“ ამბობს: „მოკავშირეები აწი მეტ დათმობაზე არ უნდა წავიდენ „აკსიონ ფრანსეზ“ აცხადებს; „დგება დრო, როდესაც უნდა ვიფიქროთ არა ერთმანეთისადმი გრძნობების გამომჟღავნებაზე, არამედ იმაზე, რომ გამოვიტანოთ მტკიცე გადაწყვეტილება.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ჰაგის საზავო კონგრესი

მოსკოვი. 19 დეკ. ჰაგის კონგრესის საბოლოო სხდომაზე მრავალრიცხოვან რეზოლიუციებისათვის კენჭის ყრის წინ გამოვიდა რადეკი რომელმაც გაჰკიცხა კონგრესის მუშაობა და აღნიშნა, რომ კონგრესი უმრავლესობის მოქმედებამ შეუძლებელი გახადა არამც თუ ომის წინააღმდეგ ერთიანი პროლეტარული ტრონტის შექმნა, არამედ საზოგადოდ ყოველგვარი ომის საწინააღმდეგო გამოსვლაც კომუნისტები აუწყებენ ფართო პროლეტარულ მასებს ყველაფერს სადაც ადგილი ჰქონდა კონგრესზე ტომასის სასტიკი გალაშქრების შემდეგ, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ, გამოვიდა ლაზოვსკი რომელმაც განაცხადა, რომ კონგრესის მუშაობა ამოიწურება მხოლოდ და მხოლო ფრაზეოლოგიით.

დამახასიათებელია ტომასის საბოლოო სიტყვა, რომელშიაც ეს მხურვალედ მოუწოდებს დელეგატებს არ დაუჯერონ იმ ხალხს რომლებიც „მოიოხოვენ ჯარისკაცებს და მეზღვაურების შორის აგიტაციის წარმოებასა. მიუთითა რა სოციალისტებს არ აქვთ უფლება გადასდგან ასეთი ნაბიჯი ტომასმა გამოსთქვა იმედი რომ ინასოდეს არ დადგება ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად საყოველთაო გაფიცვის აუცილებლობის მომენტი.

ამსტერდამში

მოსკოვი. 19 დეკ. ამსტერდამში მუშების კრებაზე, რომელსაც დაესწრო სამი ათას კაცამდე, ლაპარაკი იყო ჰაგის კონგრესის შესახებ ელენა შტრეკერმა, რომელიც გამოვიდა ჰაგის კონგრესის უმრავლესობის რეზოლიუციის წინააღმდეგ. ბურჟუაზიულ ჰაციფისტურ ორგანიზაციების 9 წევრის სახელით გააკეთა შემდეგი დამახასიათებელი განცხადება: რეზოლიუცია არის ძველი ბურჟუაზიული ჰატიფიზმის უშინაარსო ფორმულა, რომელიც არ ცდილობს საყოველთაო გაფიცვის საკითხში კონგრესის აშკარა და გარკვეულ პოზიციის გარკვევას.

სესხი გერმანიისათვის

მოსკოვი. 19 დეკ. ჰავასის საგენტოს ცნობით საკითხი გერმანიისათვის სესხის მიცემის შესახებ ამერიკის მთავრობის წრეებში ოფიციალურად ჯერ-ჯერობით არ განხილულა. „ტანი“ ამტკიცებს, რომ ლონდონის სიტის წრეებში არ სწამთ, რომ ამერიკა მზად არის მისცეს სესხი გერმანიას.

ხეიბრე ვენაში

ციურიხი. გაზ. „ნო

შიზმი, და ამიტომ გასაგებია, რომ ფაშიზმის პროგრამაში შედის სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა ბოლშევიზმისათვის.

ასეთ წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროპის ყველა სახელმწიფოების სათავეში მოექცევიან მემარჯვენე მთავრობები. ძალიან დამახასიათებელია მუსოლინის უკანასკნელი გამგზავრება ვენგრიაში, სადაც მან ხერიოზული მოლაპარაკება გამართა მთავრობის მეთაურთან ხორტოსთან. ამრიგად, ფაშიზმა საერთოდ ევროპის ცხოვრებაში შეიტანა ახალი მიმდინარეობა. ცენტრი, რომელიც ემუქრება ევროპის პოლიტიკას, არის არა მოსკოვი, არამედ რომი".

კოლექტიური ხელშეკრულებათუ მინიმუმ სამუშაო ქირ ს დაწესება

ამას წინად მომხდარ რუსეთის პროფკავშირთა მე-5-ე ყრილობაზე მთელ რიგ მნიშვნელოვან დადგენილებათა შორის აღსანიშნავია დადგენილება კოლექტიურ ხელშეკრულობათა შესახებ დამქირავებელთა შორის. ყრილობას არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება იმ მოვლენაზე, რომ კოლექტიური ხელშეკრულობა ნებაყოფლობითი აქტია ორივე მხრის ურთიერთ სრული შეთანხმებაზე აგებული, ამიტომ მის დაკანონება, ძალად დადება კანონმდებლობას ზეგავლენით ერთგვარი პროფანაციაა მისი. ამით იმის თქმა კი არ შეიძლება, რომ კოლექტიური ხელშეკრულობა არ იყოს საჭირო. პირიქით ის აუცილებელიც არის, მაგრამ ის უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს ზეგავლენის გარეშე.

ორივე მხარის მიერ თავისი შესაძლებლობის სრული ადრიცხვით.

ჩვენში დიდი ხანია რაც სახელმწიფოს მიერ გამოცემულთა სავალდებულო დადგენილება კოლექტიურ ხელშეკრულებათა შეკვრის შესახებ ყველა ცვრძო და სახელმწიფო დაწესებულებაში. მაგრამ მსგავილ დარგში დღესაც არ არის. არ არის იმიტომ რომ ვერ მოხდა შეთანხმება დაინტერესებულ მხარეთა შორის, როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში პროფკავშირები, როდესაც ხედვეს თავიანთ წევრების უფლების შელახვას დამქირავებელთა მხრით? აი სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს სახელმწიფო თავის ძლიერი სულით და უკარნახოს დამქირავებელთ არა კოლექტიური ხელშეკრულობა, ძალათ შეთანხმება, არამედ სამუშაო ქირის მინიმუმი, რომლის ქვევით არც ერთ დაწესებულებას უფლება არ უნდა ქონდეს მასზე ნაკლები მისცეს მუშა-მოსამსახურეს.

ეს გარემოება კარგად ქონდა გათვალისწინებული პროფკავშირთა მე-5-ე ყრილობას და შესაფერი დადგენილებაც გამოიტანა და მის შესახებ.

დღეს ჩვენში პრაქტიკაშია როგორც კოლექტიური ხელშეკრულობის დადება ისე მინიმუმი სამუშაო ქირა დაწესებული სახელმწიფოს მიერ. ორივე თითქოს დაკანონებულია, მაგრამ არც ერთს სათანადო ყურადღება არ ექცევა. ცხადია სექტემბერში დაწესებული მინიმუმი ვერ გამოდგებოდა ნოემბრისთვის და მით უფრო დეკემბრისთვის,— მაგრამ მიუხედავათ ამისა სექტემბრის მინიმუმი ძალაშია.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექციოს სათანადო პროფკავშირებმა და პროფკავშირთა საბჭომაც. თუ კოლექტიური ხელშეკრულების ძალად მოხვევა არ შეიძლება (რომ არ შეიძლება ჩვენ ნათლად ვხედავთ) მაშინ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს კავშირებთან შეთანხმებით საბუშაო ქირის სავალდებულო მინიმუმის განსაზღვრა სავლიუტის ერთეულებში.

მ. ხ.

ხელოვნება

დღეს თეატრებში

სახელმწიფო ოპერა. დღეს, ხუთშაბათს 21 დეკემბერს ბოკავა მუხტაროვა, კავსაძე, კრიჟანოვსკი, შარაშიძე და სხ. მონაწ. „ევგენი ონეგინი".

კვირას 24 დეკემბერს დილის 12 საათზე გ. მ. სახლში გაიმართება მუსიკალური მხატვრული დილა განათლების მუშაკთა კავშირის წევრ ტეხნიკურ თანამშრომელთათვის.

ორშაბათს, 25 დეკემბერს საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კოლ.ოუბნის ქ. № 3) გაიმართება ამხ. გ. ჯაკობიას მოხსენება. თემა: იოანე შავთელის „აბოულ მესია."

—

სამეგრელოს სახალხო მოგზეერალთა გუნდი.

(მოგონება.)

რაკი ყველანი ქომხოენი იყვნენ დანწილებისა მეც ვემორჩილებოდი და ვძღვდი ფულებს (არც ერთს მათგანს არ ეფიქრნა ფონდისთვის გაეღო წვლილი და საჭიროების დროს მოგვეხმარა). ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო გამძლეგება გუნდის ხითხოვნილებისა და გაგრძელება მოგზაურობისა. საველოო ჩემთვის კ.ლევ ის იყო, რომ ყოველი ერთი ადგილიდ ნ მეორე ადგილზე გადაყვანა ითხოვდა ჩემგან ახალ-ახალ სახსის ალებას, რაც პირდაპირ შეუძლებელი იყო; მეტი გ.ოსაველი არ ძალონდა გუნდი უნდა დაშეშალა. ამ მდგომარეობაში ვ ყავი ისე შემოკრბენ ჩემს გარშემო ძმანი ალიშბაიები; გიორგაზიის და სემინარიის მოწინავე მოწ ფენი, რომელნიც მირჩევდენ მაინც და მაინც განმარძო მოგზაურობა; ყველა მათგანი თითეულად იბეგრავდენ თავს (ზოგი ფულით, ზოგი სანოვაგით; ერთა მათგანმა კ, საღაყაიამ ახალი ბატინკები შემოგვწირა ძმებმა ალიშბაგმა იმ თანხიდან, რომელიც თვიურ სახარჯოთ მოსდიოდათ გადასდვეს და ერთ დროულად 15 მან. მიშოვნეს, ვ. ლოლუამ და ვ. დადიანმა ერთ მომდერალთაგანი, რომელიც შინისკენ მიიკაჩებოდა და მიზეზად ფეხშიშველობას, უტანსაცმელობას ასახელებდა, შემოსეს).

მოწაფეებს ხელში გაზეთი „ცნობის ფურცელი" ეჭირათ და გვიკითხავდენ თუ როგორც გამოეხაურა რედაქცია ამ გუნდს. ხედავთ, გიდვიძა სამეგრელომ ისინი გამოდიან „სახალხო მომღერალ გუნდითო". ფსურვებთ ახალგაზრ და გუნდს შესძლოს მთელი საქართველოს კუთხის შემოვლა და სხვა.

სალამი სამეგრელოს სახალხო მომღერალთა გუნდს"-ო.

ბოლოს გადავწყვიტეთ მიგვემართა ვ. გუნიასათვის ტფილისში და გვეკითხნა თუ რა აზრისა იყო ამ გუნდის შესახებ და რას გვირჩევდა. დაუყოვნებლივ მივიდე ბ. ვალიკოსაგან პასუხი—ის სიხარულით ეგებებოდა ჩვენს გუნდს და თვით მოგზაურობასაც. აწერდა პირობებს ტფილისის თეატრისას, რომელსაც თავის თავზე დებულობდა და გვითმობდა კონცერტისათვის უფასოდ. სხვათა შორის წერილში გვაფრთხილებდა— „თვენი გამოსვლა არის დიდი კულტურული. ერთგნული და პოლიტიკური მნიშვნელობისა; ხომ იცი რა ცუდი დროა საერთოთ, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენ მეგრელებისათვის. აზორდიული რამ არ დაგვეჩნესი; ამიტომ, ყოველ შემთხვევაში უმჯობესად სთვლიდა ჩემა ჩასვლას ტფ ლისში და პირადათ მოლაპარაკებას. (მე კი არ მესმოდა თუ რას ნიშნავდა აზორდიული).

მომღერლები დავსტოვე ქუთაისში და მე გავემგზავრე ტფილისში. ვნახე ვალიკო გამოჩენილ მწერლებთა და მოღვაწეთა შორის. [illegible] თუ რა მიზანი ქონდა ჩემს ასეთ გადგომ მოგზაურობას. [illegible] ერ ილია ჭავჭავაძეს. [illegible] ერ ილია ჭავჭავაძეს. [illegible] ერ ილია ჭავჭავაძეს

ნსები და გათენებამდის გადავაკარით ზედ ადიშებს, „მეგრული გუნდი“ შეგსცვალეთ ქართულ ხალხურ მომდ. გუნდად“ და ამ სახელით განვაგრძეთ მუშაობა. კონკერტი დანიშნულ დღეს არ შესდგა მხოლოდ, როგორც იყო, გავმართეთ კვირას საკვირაო ქართულ სკოლის დარბაზში—სკოლის სასარგებლოდ. აქედან გავემგზავრეთ სოხუმში—შემთგ ოჩამჩირეში, აქ კი გუნდი დავშალე, ვინაიდან ვედარ გაუძელი მომდერლების მოთხოვნილებებს.

როგორც მოგახსენეთ, ჩემი მუშაობა ამ დარგში იწყება 1896 წლ. ეს ხანა სამეგრელოს ძვირად უბის, ვინ განებავთ იქ არ დაძრწოდა და არ ევლინებოდა სხვა და სხვა დაპირებებით? პირველი მათგანი, გამარუსებელ თესლის ჩამომტანი, ცნობილი დეკ. ვოსტორგოვი. სენაკის სასულიერო სასწავლებლის (ზედამხედველი) გამგე ნარმეკოვი, ცნობილი ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე 1906 წ. რევოლიუციის დროს განდევნილი ფოთიდან და, როგორც ამბობდნენ, მათი მარჯვენა ხელი უნდა ყოფილიყო ეშორდიაც. როგორც სჩანს ყველა ჯუარის პროვოკატორების საბუდარად უნდა გამხდარიყო სამეგრელო. ასეთ სახიფათო დროს დავიწყე ხალხური გუნდით გამოსვლა, რაც მაშინდელ დროს დიდი სასიხარულო იყო ყველა სამშობლოს ერთგულთათვის.

1904 წლ. ივნისის თვიდან იწყება სისტემატიურად გუნდების მოწყობა:— 1. ქ. სოხუმში დაავარსე—1 მუშათა გუნდი, 2. მოწაფეთა გუნდი.

2. სოფელში— ქართულ ეროვნულ საბჭოს დავალებით—მუშათა გუნდი.

3. ადლერში, გაგრაში, ახალ-სენაკში. ქუთაისში სტუდენტებისაგან მოგზაური გუნდი; ფოთში მოწაფეთა გუნდი ქალ-ვაჟთა გიმნაზიებში და ლოლუას ჭერქა პროფესიონალურ პროგიმნაზიაში.

1919 წ. ქ. ფოთში დავაარსე სიმღერა-გალობის მოყვარული საზოგადოება.

1920 წ. სექტემბრის თვიდან ზუგდიდის სამაზრო ერობისგან მოწვეულ ვიყავი მაზრის ინსტრუქტორად, სადაც ვაარსებ გუნდებს და მაზრის დამხმარე საზოგადოებებს, როგორც მაგ. ზუგდიდი ს. ხეთაში, და დ. ხობში.

1921 წ. აპრილიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დავინიშნე სამეგრელოს სახალხო გუნდების მთავარ ინსტრუქტორად—სახალხო განათლების კომისარიატის მთავარ ხელოვნების კომიტეტის მიერ. ამ თანამდებობაზე ვირიცხებოდი 1922 წ. იანვრამდე. ამ ხანებში დავაარსე გუნდები: ქ. ფოთში, სენაკში, ზუგდიდში, ს. ხეთაში, დ. ხობში, ქვალონში, დ. აბაშაში, ს. აბაშაში დ. ხუჯიუნაში და მრავალი სხვაგან.

ამ მოწაფეთა შეერთებულ გუნდით 1920 წ. დეკემბ.-იანვარში მოვაწყეე ექსკურსია ძთავრობის ვაგონით.

ტფილისში ადგილობრივ სტუდენტობისაგან სახალხო გუნდი.

აფხაზეთ შორის შემქონდა შეგნება და საჭიროება ასეთი გუნდების დაარსებისა და კიდევაც მთიელთა სკოლის მოწაფენი, სემინარიელნი და მოხალისენი შევაერთე, შევადგინე, შევასწავლე და პირველად მოვაწყეე აფხაზთა სადამო 1913 წ. მუდმივ ხელმძღვანელად აფხაზთა ახალგაზრდობისა ამ დარგში ვიყავი მე. ჩემი გულწრფელი სურვილი იყო აფხაზ-ქართულ მომდერალნი შემეერთებინა, ისე კი ცალ-ცალკე ემუშავნა ორივეს. დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდნენ აფხაზთა ახალგაზრდები; არა ერთხელ მქონია შეერთებული კრება, სადაც შერეული გამგეობა იყო არჩეული; ყვნენ ისეთებიც ვინც გვიშლიდნენ შეერთებას; აფხაზთა ახალგაზრდობას უნერგავდენ ქართველთა სიძულვილს და ყოველგვარ კავშირის შეწყვეტას ურჩევდნენ. ასეთ პირობებში დიდი ვერას გავხდი, მაგრამ ერთი კი ცხადია—უმრავლესობა ახალგაზრდობისა მაინც ჩემსკენ იყვნენ და ყველა მათს ოჯახში დღესაც ისმის ქართული ჰანგები.

1905 წლ. რევოლიუციის დროის რევოლიუციონერებს ჩემის გუნდით მიუძღოდი ყოველგან. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, აუტანელ პირობებში, განვაგრძობდი მუშაობას 1917 წ. რევოლიუციამდე. ამ წლიდან იწყება ახალი ხანა ჩემი მუშაობისა, ვინაიდან გუნდებთან ერთად მისი დამხმარე საზოგადოებების დაარსების მივყავი ხელი.

ამ საშუალებით მსურდა ყველა კუთხის ხალხური ნაწარმოებისათვის გვეპატრონა; განსაკუთრებით დიდ საჭიროდ მიმაჩნდა რჩეულ მომდერლების მოვლა, მათზე ზრუნვა და შესაფერისი დახმარების აღმოჩენა, რომ ამით წაეზიანებინა ისინი და თვით შესდგომოდენ სიმღერების შესწავლას და გავრცელებას.

ამასთან ყველა დამხმარე საზოგადოებები შეეცდებოდა მათი საზოგადოების ფარგლებში შემოეკრიბა ყოველგვარი სახალხო მუსიკა, ზეპირ პოეზია-სიმღერები, (ჩონგურები) და სხვა. ამის შემდეგ კი იქნებოდა გენერალური მუშაობა ცენტრში, სადაც მუსიკოსების ხელმძღვანელობით და ხალხურ სიმღერების მცოდნეთა შეერთებული მუშაობით გადაიღებოდა ნოტებზე ნამდვილი და უტყუარი ხალხური ჰანგები. ამის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი, სამწუხაროდ, ის არის, ვრთნაირი შეხედულებისა რიდი ვართ სახალხო მუსიკაზე, ზოგი ჩვენი, გადაგვარების კარზე მოდგარი, ინტელიგენცია სულ სხვა შეხედულების არის, მაგ. მათ არ აინტერესებს ძრავალფეროვანი, საუცხოვო, ხალხში გაბნეული და ბუნებით შობილი კილოკავები; მათი იმედით ასეთები მკვდარ თანხად ითვლებიან, ვინაიდან, მათის აზრით ჩვენი ხალხური სიმღერა „ზომაკვდ'ვ კაცის ხრიალსა და კატის კნავილის უფრო გავს“ თურმე, მაგრამ ჩვენ კი სხვანაირად გვესმის და კიდევაც ხალხურ სიმღერებმა, ზოგიერთი თავგამოდებულ მუშაკების წყალობით, დღემდე მიაღწია; დღეს კი ყველა ვრძნობს ამის საჭიროებას და მის ამოკრებას ზეგიდან ფიქრობენ, რაც დაუშვებელ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგან შეუძლებელია ამ საშუალებით იმ ძვირფასი მარგალიტების ამოკრეფა და მისი მოვლა-პატრონობა. ვამბობ, თვით ხალხის წრიდან, ხალხური მომღერლების საშუალებით უფრო უტყუარი იქნება ყოველგვარი მათ მიერ გადმოცემული სახალხო ეროვნული ჰანგები.

1917 წ. რევოლიუციის დღეებში მქონდა მოთხოვნილება „სახალხო ფურცელში“ დიდ წერილი, სადაც მოუწოდებდი ყველა ამ დარგში მუშაკთ კონფერენციისაკენ, რომ ამ საშუალებით საერთო სამოქმედო პროგრამა შეგვემუშავებინა; განსაკუთრებით ჩვენს მუსიკოს-კომპოზიტორებს საყურადღებოდ იქვე მქონდა აღნიშნული:—თუ რომ ისინი ისურვებდენ ჩვენთან „მუშაობას, ჩვენ მათ დიდი მასალებს მივცემდით, მაგრამ ეს ხმა უყურადღებოდ დარჩა მათგან.

ამის შემდეგ მოვახსენებ ბ.ბ. მუსიკოსებს: ნუ იქნებიან ზერელედ შემფასებელნი ხალხურ სიმღერებისა, საჭიროა გაეცნონ, დაუახლოვდნენ, დაიახლოვონ, თუ სურთ ისარგებლონ და მათი ნაწარმოებიც იყოს ნამდვილ მშობლიურ, ეროვნულ ჰანგზე აგებულ. უეჭველია რომ ხალხურ მომღერლებისგან ისინი ბევრს ისარგებლებენ, შეიძენენ უამრავ საოპერო, სახელოვნო მასალებს. მათგან კი ისინი ვერაფერს ვერ წაიღებენ, რადგან საამისო, სპეციალური (კლასიკური) ცოდნა მათ არა აქვთ.

ან იქნება სთქვათ: ევროპის მუსიკა სჯობს ქართულსაო; გვირჩიოთ უარეყოთ ქართული და შევითვისოთ ევროპიული?—ჩვენ ვამბობთ: ჯერ შევითვისოთ ნამდვილი ქართული; შევიგნოთ, რომ ჩვენი ვალია საკუთარი კულტურა არ გავთქვლიფოთ სხვის კულტურაში.

ამით იმის თქმა როდი მინდა, რომ ჩვენ არ მივდიოთ განათლებულ ქვეყნების კულტურას, პირიქით, მაგრამ რაც კარგია და მის დირსების შესახებ თუ შეიძლება უცხომაც გამოსთქვას თავისი შეხედულება, მაშინ ჩვენც შეუდგეთ მისი მეცნიერულად შესწავლას, შევიტანოთ მუსიკაში ახალი ჰარმონიზაცია, გავიტანოთ ევროპაში ჩვენი ნაწარმოებიც, დეე, იმათ სთქვან, ეს არის ნამდვილი ქართულიდან აღებული.

ეს კი ყველაფერი შესაძლებელია მაშინ, როდესაც მთელ საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს, მათი ხალხურ პოეზიით და მუსიკით შევკრებთ და შევიტანთ ერთ დიდ მთლიან ოჯახში—ყველას საკუთარის სახით.

ეს იქნება საკუთარი თანხა, უცვლელი დედანი, რომელიც ხელუხლებელი შერჩება მომავალ თაობას და მასთან საისტორიო და საეთნოგრაფიო მასალად გამოდგება. ამით ისარგებლებენ თვით ბ.ბ. სპეციალისტები, დაამუშავებენ ჩვენს ნიჭს, დასწერენ ძვირფასს ლექსებს, თქმულებებს, დრამებს, ოპერებს, ტრაგედიებს და სხვას.

მანამ კი საჭიროა ხელი შეუწყოთ რომ ყველა კუთხეში დაარსდეს და გავრცელდეს სახალხო მომღერალთა გუნდები, (მათი დამხმარე საზოგადოებებით). რომელიც, დრო გამოშვებით ესტუმრება ჩვენს დედა ქალაქს ტფილისს, სადაც იქნება გაჩაღებული მუშაობა;—ფონოგრაფის საშუალებით გადადება ნოტებზე და იქვე არაა რომ ყველა კუთხე დიდს უნარს და ნიჭს გამოიჩენს.

გვწამდეს, რომ ასეთი მუშაობა მოულოდნელ ნიჭიერ ერის საამაყო შვილებს მოგვცემს და მასთან არც ერთი ხალხური ჰანგი არ დაგვიკარგება.

ძ. ლოლუა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

საქართველოს სახალხო
ბანკის
გამგეობა

თანახმად ბანკის საბჭოს დადგენილებისა 12 დეკემბრის თარიღით ამით აცხადებს კლიენტების საყურადღებოდ, რომ იმ პირთ, ვინც გადაეცილა ვალის შემოტანის დრო, შეუძლიათ ვალი გადიხადონ ქართული ბონებით ამ წლის ოცდა ათ დეკემბრამდე. ამის შემდეგ კი, თანახმად მთავრობის დადგენილებისა № 61 თარიღით, მათ ვალი გადახდებათ ოქროს იმ კურსით, რომელიც იყო ვალის გასვლის დღეს.

ეს განკარგულება არ ვრცელდება იმ კლიენტებზე, რომელთაც მიეცემული აქვთ ბანკისადმი ვალდებულება ოქროთი ვალის გადახდის შესახებ.

4—3 209 სახალხო ბანკის გამგეობა.

ᲓᲔᲓᲔᲑᲝ!

სამშობიარო სახლიდან გამოსვლის შემდეგ ძუძუ მწოვარა ბავშთა აღზრდის შესახებ რჩევა-დახმარებისათვის მიმართეთ ჩამოთვლილ კონსულტაციებში:

1. ვერის ბოზარდჟიანცის თამბაქოს ქარხანაში.
2. მიხაილოვის რეუტოვის და ნიკოლოზის ქ. კუთხეში № 43.
3. სადგური-სადგურის ქ. № 8, ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანა.
4. ორთაჭალის-ვორონცოვის ქ. ადელხანოვის ქარხანა.
5. ავლაბრის-მეტეხის ქ. № 10.

226 5—1 მედიცინის ექიმი შენგელიძე.

დოკტორი გ. მეგრაგიანცი
„ყ. ახისენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“
შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა. რენტგენის სინათლის—ელეკტრონის წამლობის კაბინეთი.
იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. 35

განცხადება

საქალაქო გადასახადის გამტარებელ ნაბანაოთა კომისიისა

თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა (№ 25, 7 დეკემბრის 1922 წ.) საქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია აცხადებს ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ შემდეგს:

1. სახლის პატრონებს ან მათ მოადგილეთ ეცალებათ გადამზღვევთა სიების სასწრაფოდ შედგენა, როგორც ეს აღნიშნულია ქალ. აღმასკომის საცალდებულო დადგენილებაში ა. წ. დეკემბრის 19 თარიღით № 15.

2. თითეულ სახლში უნდა შესდგეს 5 სია: 1) მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც იღებენ ჯამაგირს მე-9 კატეგორიამდე თანჩათვლით, 2) მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც იღებენ ჯამაგირს 9 კატეგორიაზე ზევით, 3) ვაჭარ-მრეწველებზე, 4) დანარჩენ მოქალაქეებზე და 5) იმ პირებზე, რომლებიც დეკრეტის ძალით განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან.

3. სიები უნდა შესდგეს შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

№№ რიგ.	გვარი, სახელი და მამის სახელი	რას აკეთებს	საიდან ჩამოსულა გადასახ. და თარიღი	შენიშვნა

4. მუშა-მოსამსახურეებს და გადასახადისაგან განთავისუფლებულებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული მოწმობები, პროფკავშირებიდან და სათანადო დაწესებულებებიდან.

5. სიები, პირადობის მოწმობები და სპეციალური მოწმობები სახლის წევრებთან ერთად უნდა იქმნენ წარმოდგენილი სათანადო კომისარ. სამისამ. მაგიდაში შეკრებილ გადასახადის თანამდართვით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ მუშა-მოსამსახურეები სიების შედგენის დროისთვის ვერ მოასწრებენ მოწმობების მიღებას, სიები უნდა შესდგეს დანარჩენებზე. მუშა-მოსამსახურეებზე კი უნდა შესდგეს დამატებითი სიები.

6. ფულის კურსი და დრო სიების წარმოდგენისა იქნება გამოცხადებული ცალკე.

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიის
თავმჯდომარე გ. კაკბაძე.
კომისიის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი ა. რუხაძე. 2—1

ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების რკინის გზათა სამმართველოსაგან.

ამით ცხადდება, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან (ტფილისი, ვაგზლის ქ. № 1, ოთახი № 44) 1922 წ. 20 დეკემბერს საქართველოს რკინის გზებზე

ბათომ-თფილისი და კახეთის ხაზიდან სალოღლამდე და სანაინამდე, და ა. წ. 25 დეკემბერს აზერბეიჯანის რკინის გზებზე სალოღლიდან არამლიანსკის სადგურამდე დანიშნულია,

შეჯიბრება ტვირთზიდვის—დატვირთვის გადმოტვირთვის, სულაბალი დატვირთვის სამუშაოების და ბარგის და ტვირთების

დაცვის და მგზავრების სამსახურისათვის მუშების (насильщик) დაქირავების იჯარით გაცემა

1 იანვრიდან 1923 წ. 31 დეკემბრამდე.

ის პირები, რომელთაც სურთ აღნიშნულ სამუშაოების აღება, ადგენენ ამის შესახებ წერილებითი განცხადების დაბეჭდილ კონვერტებში შემდეგი ზედწარწერით: „ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს შეჯიბრებისათვის ტვირთზიდვის სამუშაოების იჯარით ასაღებად“.

განცხადებათა შეტანის უკანასკნელი ვადა საქართველოსათვის თავდადება 1922 წ. 20 დეკემბერს, აზერბეიჯანისათვის 25 დეკემბერს დღის 12 საათზე.

განცხადებებში შეჯიბრებაში მონაწილეს სახელის, მამის სახელის და გვარის გარდა უნდა იქნას აღნიშნული ასაღებ სამუშაოს ყოველგვარი პირობები და მათი გვარები.

ხელშეკრულების დადების დროს აღნიშნულ სამუშაოების კეთილსინდისიერად წარმოების და ტვირთების დაცვის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულობის დამდებმა უნდა შეიტანოს საწინდარი საქართველოსათვის—2,000,000,000 (ორი მილიარდი მანეთი ქართული ფულის ნიშნებით), ხოლო აზერბეიჯანისათვის—15,000,000,000 მან. (თხუთმეტი მილიარდი მანეთი, აზერბეიჯანის ფულის ნიშნებით), ან სათანადო ვალიუტა კურსის მიხედვით).

განცხადებასთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი ქვითარი წინასწარი საწინდარის 20 პროცენტის შეტანის შესახებ.

საწინდარი იმ პირთა, რომელთაც არ მიეცემათ სამუშაოები ეკონომიურ ნაწილში ქვითარის წარდგენისთანავე დაუბრუნდებათ უკანვე.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ ნაწილში საქონელ სადგურის განყოფილებაში ოთახი № 60 ყოველ დღე დილის 10—1 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა.

4—3 სამმართველო

№ 16

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲝᲐ ᲮᲔᲐ

№ 16

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დიდი მოვალეობა

თანამედროვე ისტორიული ხანა, უდიდესი ერია კაცობრიობის ცხოვრებაში. ადამიანებს იშვიათად ქონიათ შემთხვევა დიდ მოვლენების მოწამეობისა, ხოლო თანამედროვე მოვლენათა გრანდიოზობა არასოდეს არ უნახავს მე-20 საუკუნემდე მოსულ მოქალაქეს.

დღეს შეუძლებელია ობიექტიური შეფასები, გამორკვევა და განხილვა თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების, თუ გნებავთ იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ჩვენ თვით მოწამე ვართ ამ სოციალური ჭიდილის და მასთან დაკავშირებულია ჩვენი ნაფიქრ ნაგრძნობი.

მხოლოდ ისტორიის მკვლევარს, დაშორებულს თანამედროვობის მტკივნეულობისაგან, შეუძლია სწორედ შეფასოს ის დიდი მოგლენები, რომელნიც ესოდენი სიჩქარეთ გარბიან დღევანდელ პოლიტიკურ სარბიელზე.

ჩვენ დღეს არც მემატიანე გვინდა ვიყოთ და არც უბრალო მეთვალყურე პოლიტიკურ მოვლენათა მიმდინარეობის. კარგად გვესმის, რომ ან დღეს უნდა გადაწყდეს საქართველოს თავისუფლებისა და ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის ბედი ან და ჯერ კიდევ დიდხანობით უნდა გადაიდოს ამ საკითხთა გადაწყვეტა.

ჩვენ, როგორც პატარა ერის შვილები, ორმაგად დინტერესებული ვართ რევოლიუციონურ შემოქმედებაში, რადგან მან უნდა მოგვცეს არა მარტო სოციალური საკითხის გადაწყვეტა, არამედ ერთვნული საკითხის გადაწყვეტაც.

ახალგაზრდებს, რომელნიც მტკიცედ ვდგევართ ერისა და სოციალიზმის დაცვის ნიადაგზე, განსაკუთრებით დიდი მოვალეობა ვეკისრება, რომ ვეჩქარეთ ფართო მუშაობა და როგორც პრაქტიკულ, ორგანიზაციულ სფეროში ისე თეორიულ სფეროშიც მოვიპოვეთ გამოცდილება და ცოდნა.

ჩვენ გულ ხდილათ უნდა ვალიაროთ ის ფაქტი რომ სოციალ-ფედერალისტთა პარტიამ ვერ მოგვცა ახალგაზრდებს სულიერი საზრდო, ვერ გაგვიწია იდეური ხელმძღვანელობა, ვერ შეიტანა ჩვენს რიგებში მტკიცე და გარკვეული დისციპლინა.

ახალგაზრდებს დაგვიძახებდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდებოდა ან რაიმე სადემონსტრაციო გამოსვლებსე ქნებოდა ადგილი.

ცნობილია, რომ საუკეთესო ახალგაზრდები, ნიკითა და უბით დაჯილდოებულნი, გაიყინა, წერტილი დაესო მათ გონებრივ განვითარებას, რაშიაც პარტიასაც მიუძღვის დიდი დანაშაულობა.

ამიერიდან ასეთი მდგომარეობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ჩვენ არ გვინდა დღეს ახალგაზრდობა მხოლოდ საარჩევნო კომპანიებში მონაწილეობისათვის, არამედ უმთავრეს ყურადღებას ვაქცევთ ახალგაზრდობის პოლიტიკურად აღზრდას, მის მომზადებას პოლიტიკური მუშაობისათვის.

ტფილისში ამ მიზნით არსებობს უკვე „არჩილის სახელობის პოლიტიკური წრე“ რომელიც ხელმძღვანელობას უწევს პოლიტიკურ მუშაობას. ქუთაისში ამ ხანაგები უკვე შეუდგენ მუშაობას და შეიძინეს სათანადო ბიბლიოთეკა. სხვა პროვინციებში, განსაკუთრებით უმთავრეს ცენტრებში, არსდება ანალოგიური ხასიათის პოლიტიკურ წრეები.

ყოველი ჩვენი ამხანაგის უწმინდესი მოვალეობაა წრეებში მუშაობის გაჩაღება, შესწავლა თანამედროვე ისტორიული მომენტი, ჩვენი პარტიის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებით.

ჩვენ ამ ხრივ დიდი მოვალეობა გვმართებს და ეს მოვალეობა ერთი წუთითაც არ უნდა დავიწყოთ.

ᲞᲠᲔᲡᲐ

„მუშის“ № 23 ეხება ჩვენს ორგანოში მოთავსებულ წერილს და მოყავს მისგან შემდეგი ამონაწერი:

„სწორედ რომ განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელი არჩილის შესწავლა დღეს, როდესაც მის მიერ თეორიული ხასიათის ნაშრევი, უფლისად პრაქტიკული საკითხებათ ხდებიან, ცხოვრების მსვლელობამ, მისმა უღმობელმა ლოლიკამ საკუთრივ გაანადგურა ის პრინციპები, რომლებიც საარჩევნოდ ედვა ჩვენს პარტიას თავის მუშაობის და მოქმედების დროს. გუშინდელი ჩვენი მოწინააღმდეგენი იძულებულ არიან ჩვენთან ერთად ადიარონ და განახორციელონ ის, რისკენაც ჩვენ წინააღმდეგ გაფანტრებულ პროპაგანდის, აგიტაციას ეწეოდენ და, ვინ იცის, როგორი „მშვენიერი სიტყვებით“ არ გვმკობდენ“.

ამ ამონაწერს გაზეთი „მუშა“ უკეთებს შემდეგ ინტერპრეტაციას:

ამ ამონაწერს გაზეთი „მუშა“ უკეთებს შემდეგ ინტერპრეტაციას:

მგმარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს იმ თავითვე უყვარდათ ბაკუნობა და კვეხნობა.

ტრიბუნას თანამშრომლებსაც გამოყავთ თავის წინაპრებიდან ეს თვისება.

მსოფლიოში რომ რაიმე კარგი გაკეთდეს დოინჯშემოყრილი ისინი იმ წამსვე იმის მტკიცებას დაიწყებენ, რომ ეს ჩვენი წყალობით მოხდაო, ჩვენ თავიდანვე სწორი გზა ავიღეთ, ამის იმ თავითვე ვამბობდით და ვქადაგებდითო“.

იგი განაგრძობს:

ალბად ლენინმა და ტროცკიმ თვალ ლონტს თუ მოპარეს აზრები—მგონია კომუნისტური ინტერნაციონალი რომ დაარსდ, ისიც მათი წყალობა იყო.

კვეხნობა, მაგრამ სანდო“.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ „მუშას“ დიდი მუშაობა დასჭირდება ლაღლაკაში, რომ მან ცნებათა წინადადებათა აზრი სწორად გაიგოს.

„მუშას“ მიერ მოყვანილ ამონაწერში ის კი არ არის თქმული, რომ „ჩვენის წყალობით“ მოხდა რუსეთის რევოლიუცია და „ჩვენი წყალობით“ ხორციელდება არჩილის თეორეტიული კონცეპციები, არამედ ის „რომ ცხოვრების მსვლელობამ, მისმა უღმობელმა ლოლიკამ“ გაამართლა უმთავრესი პრინციპი ჩვენი მოთულმხედველობისა.

ამას გარდა „მუშა“ რედაქციაში ალბად ჯერ კიდევ არ იციან, რომ თვალ ლონტი არჩილ ჯორჯაძის ფსევდონიმი არ არის. ამიტომ მას დასჭირდება ცოტა უფრო დაკვირვებით მუშაობა დაწერილის სწორად გაგებისათვის.

რაც შეეხება ჩვენს „კვეხნობას“ და იმის ადნიშვნას, თუ როგორი ხასიათის არის თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების მსვლელობა და როგორ ხსნიდა და ხსნის მას ჩვენი პარტია, ამის შესახებ აქ არას ვიტყვით, რადგან თვით ის წერილი, რომლიდანაც „მუშას“ მოყავს ამონაწერი პირველი თავია წერილების იმ სერიის, რომელიც დასმულ საკითხს უფრო ფართოდ შეეხება და „„მუშასაც“ მიეცემა საშუალება უფრო დაბალურად მოისმინოს ჩვენი აზრი.

ᲕᲐᲚᲒᲐᲚᲚᲘᲡ ᲩᲣᲥᲣᲠᲗᲛᲐ

პალიკო ბეშკენაძის ხახხოვარი

რისხვა ულმობი და უეცარი...
ქალდუს მზის ცეცხლი ცაში ნელდება;
ჩვენი მყობადი ნუ თუ ეს არი,
ჩვენი ცხოვრება საშინელდება...
დაგტოვეთ ბნელში მყუდროდ იდუმალ,
ძმავ, აკკომენდავ დაუვიწყარო,
ადრე დაგკარგეთ, მაგრამ მით უმალ
მარადისობის იპოვე წყარო
დღეს ჩვენი ცრემლი მწვავეა ესდენ;
რომ კუბოშიაც იგრძნობ, გაიგებ...
შენი თვალები სიცოცხლეს თესდენ:
ვალგალლის ინფანტ, გოდოლს აიგებ.
დარჩები ჩვენში მებრძოლ ხელ-აფთრათ,
ათასჯერ გეტყვით: „დიდება შენდა“..
გვახსოვს: ელავდი ჩვენში კელაპტრათ,
ან ეგ საფლავ როგორ აშენდა.
...გამოთხოვება მძიმე და მწვავე,
ცეცხლად მიეკრა დაისს ანთება.
მოგონებები ხშირად დაგვწვავენ,
სული მრავალჯერ დაიშანთება...

ქუთაისი. წ. 21 თებერვალი. ბ.

მოგონებანი სტუდენტურ ცხოვრებიდან

2.

უცხოეთში გამგზავრება.

„გამგეთ, სტუდენტი გავხდი, ნამდვილი სტუდენტი, პირველი კურსის სტუდენტი! ეგზამენი ალარ მქონდა დასაკერი. რაც მინდოდა, მისი კითხვა შემიძლია... როგორ არ გამხარებოდა, როგორ არ მეთამაშნა! ქვა ხომ არ ვიყავ?!..

ნიკო ნიკოლაძე.

„სტუდენტობის პირველი დრო“—მოგონება.

ადამიანის ცხოვრებაში არა მგონია იყოს ისეთი წუთები, ისეთი მომენტი, როგორიც არის მომენტი საშუალო სასწავლებლიდან უმაღლეს სასწავლებელში შესვლის. ეს არის მართლაც დიდი და მასთანვე უეჭველად ის პირველი ნაბიჯი, როდესაც თავდება ახალგაზდისათვის ბავშობის, ანუ სწორედ რომ ვსთქვათ ჭაბუკობის ხანა და მის წინაშე იშლება სრულიად ახალი გზა, სრულიად ახალი ცხოვრება, რომელსაც ძლიერი ცოდნა კავშირი აქვს წარსულთან. სწორედ ესეთ წუთებში ყოველი ახალგაზდა გრძნობს იმ უფსკრულს, რომელიც არსებობდა მისსა და ცხოვრების შორის. აქ იწყება წმინდა მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება, აქ იშლება მომავალი საუკეთესო ცხოვრების გზა, გზა ხალხის სამსახურისა, გზა მშობელი ერის სამსახურისა.

მართალია, გზა ახალი ცხოვრებისაკენ, გზა სტუდენტურ ცხოვრების დროს გასავლელი, ეკლით არის დაფენილი და არ არის ისეთი სადა და წმინდა, როგორც წარმოდგენილი აქვს ის ჯერ კიდევ ნორჩ გულს ახალგაზრდისას, მართალია ბევრი წაიკცევა ამ გზაზე მომავალ ცხოვრებისაკენ მიმავალი, ბევრ ახალგაზდის იდეალური გატაცებანი ჩაიშლება და გაიფანტება ცხოვრების დუხჭირ პირობებთან ბრძოლაში, მაგრამ მაინც ამ მომავალი საუკეთესო ცხოვრების გზის დასაწყისი, სახელდობრ სტუდენტურ ცხოვრების პირველი ხანები და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის მთელი დრო სტუდენტურ ცხოვრებისა მაინც არის საუკეთესო, მაინც არის სიკვდილამდე შთაბეჭდილი იმის გულში, ვისაც გამოუვლია ეს ცხოვრება, ვისაც უცხოვრია და დამტკბარა სტუდენტურ ცხოვრების გაჭივრებული, ტკბილ და ადტაცებულ მოგონებებით. ვის არ უნახავს ხშირად კრებული ახალგაზრდების და მოხუცების, რომელნიც ერთხმად და შეწყობილად, იგონებენ რა სტუდენტურ წუთებს, შესძახებენ ხოლმე სტუდენტურ სიმღერას „Paudeamus iqitur“-ს.

დიახ, კარგია წუთები სტუდენტურ ცხოვრებისა და ამ ცხოვრების დასაწყისი კიდევ უკეთესი. როდესაც მოცილებული სამშობლო კერას, მოცილებული ხშირად სამშობლო მხარეს—ასე იყო წარსულში—მიეგზავნებოდი შორს, უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხში რამოდენიმე წლით სწავლის შესაძენად რომელიმე მეცნიერების ტაძარში, სადაც სათანადო გამოცდილების შემდეგ ისევ უნდა დაბრუნებულიყავ სამშობლო მხარეს შენივე ქვეყნის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ერთ ჩენს მოგონებაში „სტუდენტობა და უნივერსიტეტი“ 1915 წელს ვსწერდი. „მართლაც ბედნიერია ის ახალგაზრდა, რომელიც გიმნაზიის დასრულების შემდეგ კეთილის აზრებით და მომავლისადმი სიყვარულით გამსჭვალული მიეგზავნება უცხო ქვეყანაში სწავლის გასაგრძელებლად და ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში იგი იძენს შესაფერ სწავლას და გამოცდილებას, რომ შემდეგ ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილმა, ნაყოფიერად იმუშაოს ხალხის საკეთილდღეოთ“. (იხ. გაზ. „შრომა“ № 8, 11 იანვარი 1915 წ.)

დღეს ჩვენს ახალგაზრდობას, საქართველოს, მის მშრომელ ხალხს გაეჩინა თავის მშობელი უმაღლესი სასწავლებელი, თავისი მეცნიერების ტაძარი, უნივერსიტეტი, რომელიც წარმოიშვა დიად რევოლიუციის წიაღში, უნივერსიტეტი ქართული, რომელსაც საქართველოს ყოველ კუთხიდან მიაშურა ქართველმა ახალგაზრდობამ, საქართველოს მშრომელ მასებიდან გამოსულ ახალგაზრდობამ.

ჩვენ კი წარსულში მოკლებული ვყოფილვართ ასეთ ბედნიერებას, მხოლოდ ფიქრი მომავალ ქართულ უნივერსიტეტზე წმინდათ ინახებოდა ჩვენს გულში და მოცილებული საქართველოდან სადაც უცხო შორეულ ცივ ქვეყნებში ტკბილად ვფანტარიდით გულში ფიქრს ჩვენ მომავალ უმაღლეს სასწავლებელზე. ეს იყო ჩვენი ფიქრი, ამას ვიტრფოლით მუდამ, ამაზე ვწერდით მაშინდელ ქართულ პრესაში და ჩვენს სტუდენტურ ქართულ ჟურნალებში.

„უცადოთ იმ დროს, როდესაც ჩვენი შვილები, თუ შვილიშვილები საქართველოს უნივერსიტეტში დაამღერებენ „Paudeamus iqitur“-თან ერთად ილიას „სტუდენტების სიმღერა“-ს და ჩაუფიქრდებიან იმ ადგილს, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

მამულისა შვილნი ჩვენ ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკ გულსა,
რომ ყოველთვის გამოვადგეთ
ჩვენ საყვარელსა მამულსა“.

(ჩემი წერილი „Pandemas iqitur და ილია ჭავჭავაძე“, სტუდენტების ჟურნალი „ჩონგური“ № 1. დეკემბერი 1911 წელი. ქ. ადესა.).

ეს იყო ჩვენი ოცნება, ოცნება წადებული სამშობლო კუთხიდან, რომელსაც ვციდებოდით მიმავალნი უცხო ქვეყანაში, მიმავალნი სწავლის მისაღებად, აღჭურვილი კარგი და ტკბილი ფიქრებით და იმედებით. მართალია კარგი მომავლისადმი სიყვარულით აღჭურვილნი მიეგზავნებოდით სიხარულით ახალ ცხოვრების გასაცნობათ, ახალ ცხოვრების შესასწავლად მომავალ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მომავალ ცხოვრებაში მთელი მშრომელი ხალხის ჩასათრევად, მაგრამ სწორედ ეს გვაძლევდა სიხალისეს, ეს გვაძლევდა სიხარულს, სიცოცხლეს, თუმცა მწარე გრძნობა, გრძნობა სამშობლო მხარის სიყვარულისა, გრძნობა მშობელ ერის მიტოვებისა ლოდიავით გვაწვებოდა გულს, სიმძიმით იცავდა ჩვენს ფიქრებს, ჩვენს აზრებს. და რაც უფრო შორს და შორს რჩებოდა სამშობლო მხარე, მშობელი ერი, რაც უფრო ახლო და ახლო მივიწევდით უცხო ქვეყნისაკენ, უცხო ხალხისაკენ, მით უფრო ლონდებოდა გული, მით უფრო კეკდებოდა გული.

ჩემს მოგონებაში არის 1910 წელი, წელი, როდესაც პირველად ვიგრძენი ის უფსკრული, რომელიც მაცილებდა წარსულ ბავშობას, რომელიც მიქადიდა მომავალ ახალ ცხოვრებას, სრულიად ახალ დამოუკიდებელ, გამობრძმედის წუთების ცხოვრებას. ბათომის სილამაზე მშვიდათ გვეალერსებოდა, მაგრამ ზღვა ცოტა არ იყოს აბობოქრებული ვერ გვიქადიდა არა მგზავრობას უმთავრესად იმათ, ვინც პირველად მივდიოდით რუსეთისაკენ. უზარმაზარი გემი „კიევი“, რომელიც ეკუთვნოდა მოხალისეთა ფლოტს, საგანგებოდ ეზიდებოდა სამხედრო მასალას და ჯარს და სწორედ ამ გემზე ჩვენ, რამოდენიმე სტუდენტი მოვეწყვეთ უფასოდ რასაკვირველია, მხოლოდ უნდა გადაგვეხადა საუზმის და სადილის ფული, რაც თითოს ხუთ მანეთამდის დაგვიჯდა, მიუხედავად იმისა, რომ ბათომიდან გასვლისას ზღვაზე ღელვის გამო ძილს მივეცით თავი, რადგან ჩვენი გემი არც ერთ ნავთსადგურში არ უნდა შესულიყო და ბათომიდან ბილ სელის გეზი პირდაპირ ყირიმის ნაპირებისკენ ქ. სევასტოპოლისაკენ. მიუხედავად საგრძნობი დეკემბერი გემის სიდიდე ნაკლებად გვაგრძნობინებდა ღელვას, მაგრამ ადგომა მაინც არ შეგვეძლო და რასაკვირველია ვერც ვახშმის ჭამა მოვახერხეთ, თუმცა ჩაწერილი ვიყავით სადილზე და საერთოთ კვებაზე, მაგრამ ფულის გადახდა იყო მხოლოდ ჩვენზე, საჭმელი კი ისე რჩებოდა. მეორე დღეს. დილით ცოტა უკლო ღელვამ, ჩვენ ამოვედით გემის ერდოზე. ირგვლივ ზღვა საქართველოს ნაპირები არ მოსჩანს. ქრის ცოტათი ქარი, რაც მაჩვენებელია იმისი, რომ ისევ ღელვა იქნება, ჩავედით ჩაის დასალევად. ღელვამ უმატა. ფიზზე ვერ ვდგებოდი. თავს ბრუალი გაჭქონდა. მივაშურეთ ლოგინებს. მართალია ზღვის ღელვამ არ გვაწყინა, მაგრამ მაინც შეგვაწუხა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სხვებსავით საერთო დარბაზში ყოფნა, გაზეთების კითხვა, გართობა და რაც უმთავრესია ჭამ-სმა. ასე მთელი მეორე დღე და დამე სულ წოლა მოგვიხდა სრული 20 საათი. სასიამოვნოა არა? თუმცა არც ერდოზე იყო მაინცა და მაინც სასიამოვნო სურათი, მაგრამ იქ ზღვას მაინც შესცქერი, ზღვას, რომელთანაც ადვილია საუბარი, რომელთანაც საკუთარი შეიძლება გრძნობების შეფარდება. ზღვის წიაღში თქვენ ხედავთ მრავალ მგრძნობიარობას, ზღვა მოგაგონებთ ყოველივე თქვენი ცხოვრების წარსულს, ის ლამაზად გადაშლის თქვენს გულში საუკეთესო გრძნობათა ალმაცერად სურათებს, ის არის ადამიანის ერთგული დამამშვიდებელი, მის გულუბნში თქვენ ხედავთ ცხოვრების მრისხანებას, მის ქანაობაში თქვენ ამჩნევთ ცხოვრების მერყეობას. დიახ ასეთია ზღვა და სწორედ იმ დროს ასეთივეა ცა. ცაში რომ აიხედო იმდროს, საკუთარი იგრძნობ ზღვის მდგომარეობას, მის სიჩუმეში თქვენ გრძნობთ ზღვის მღელვარებას და ზღვის მღელვარებაში კი გრძნობთ ცის სიმშვიდეს, ცის შენელებას. ასეთია საერთო სურათი.

კვირა სალამოს გასული ბათომიდან, მხოლოდ სამშაბათს დილით უახლოვდებოდით ყირიმის ნაპირებს. მოსჩანდა თავის სიმშვენიერით განთქმული ქალაქი იალტა და მის უკან მდებარე მთები ჩვენ იალტა მარჯვენით დავტოვეთ, რადგან ბევრი მიგვაქანებდა ქ. სევასტოპოლისაკენ. მიუახლოვდით ბერსონისის მონასტერს, რომლის შემდეგაც ჩვენს წინ გადაიშალა— ქალაქი სევასტოპოლი თავისი დიდი ნავთსადგურით და ნავთსაყუდელით. მრავალი გემები, სამხედრო და სავაჭროები ალამაზებდა ნავთსაყუდელს. სევასტოპოლი ხომ ის ადგილი იყო, სადაც ბინადრობა ჰქონდა რუსეთს სამხედრო ფლოტს შავზღვაზე. ლამაზი იყო ჯავშნოსნები, ნაღმოსნები და სხვა სამხედრო გემები, ისმოდა რუპორებით მრავალი განკარგულებები. დიდი მოძრაობა იყო ნავთსადგურში, იტვირთებოდა სავაჭრო გემები, სრიალებდა ზღვაში მრავალი მოტორები და ნავები, იყო ირგვლივ აჩუბანი.

ამდენ შთაბეჭდილებათა მიღებით ჯერ კიდევ საესებით არ ვიყავი გამორკვეული რომ გადმოგვცეს გემი „კიევი“ მეორე დღემდის არ წავა ადესისკენო. არ გვიანა, ვინაიდან ჩვენ მივეშურებოდით ქალაქ ადესაში, მივეშურებოდით ჩვენს ახალ საცხოვრებელ ადგილას, მივეშურებოდით ახალი ცხოვრების წიაღში და გაჩერება შუა გზაზე არ გვაძლევდა ხელს არც ერთი მხრით. ამისათვის მივაშურეთ ნავთსადგურს რათა ცნობები მიგვეღო, არის თუ არა სხვა რამე გემი ნავთსადგურში ადესისაკენ მიმავალი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გვაცნობეს რომ ნახევარ საათში გავა ადესისკენო რუსეთის საზოგადოების გემი „ცესარევიჩი გიორგი“. ელვის სისწრაფით დავბრუნდით, დავიქირავეთ ნავი, ჩავალაგეთ ჩვენი ბარგი და ორი ამხანაგი გავეშურეთ ადესისაკენ მიმავალ გემზე. სამგზავრო ბილეთის ადება, რაც ორივეს 6 მანეთი და 3 აბაზი დაგვიჯდა, გემზე ასვლა და გემის გასვლა ერთი იყო.

ვინაიდან გემი სამგზავრო იყო, ადგილი ვერ ვიშოვეთ და დავანაკლდით გემის ერდოზე, სადაც კაკლებზე ლამაზად მოვეწყვეთ. ბევრი იყვნენ ადესაში მიმავალი სტუდენტები საქართველოდან, მაგრამ მათთან დაახლოვება-დალაპარაკება შეუძლებელი შეიქნა ძლიერი ღელვის გამო. საშინელი ქარის გრიალში და ზღვის ძლიერ გუგუნში კარგად შეხვეული საბნებში და ნაბდებში მშვენიერად დავიძინეთ და მხოლოდ დილით, როდესაც ძლიერ ახლო მივედით ადესის ნაპირებთან, ისე რომ ღელვის მოქმედება სუსტი იყო, ჩვენ წამოვდექით და ბარგის შეკვრას შეუდექით. ვეებერთელა შავი ქალაქი გადმოგვყურებდა ზევიდან, ქალაქი, რომელიც ჩვენ გველოდა და სადაც უნდა გაგვტარებინა ხუთი წელიწადი, ხუთი წელიწადი ჩვენი საუკეთესო ცხოვრებისა, ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობისა. გემი ნელ-ნელა მიადგა ნაპირებს და ჩვენ გადავდგით ფეხი უცხო მიწაზე, გადავდგით ფეხი მომავალ ახალი ცხოვრების ხაზზე. აქედან იწყებოდა ნამდვილი სტუდენტური წუთები. აქ ვიგრძენით განსაკუთრებით სამშობლოს სიყვარული, სამშობლოსაკენ კვლავ ლტოლვა.

სოხო ახლანიშვილი.

ტირაჟი 1000 საქართ. უნივერ. ბეჭდ. წიგნ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კოუნსტანტინეს ქუჩ. № 2.